

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ალიანსი“

ს/ნ 204976464

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
მომზადებული

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	2-3
ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	5
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 4)	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებები და შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული სსს-ის თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. სხვა საოპერაციო ხარჯები
8. ფინანსური ხარჯები
9. ფული და ფულადი ექვივალენტები
10. მიწოდების და სხვა მოთხოვნები
11. კაპიტალი
12. მიღებული სესხები
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
14. პირობითი ვალდებულებები
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ანგარიშის მიზანია გამოხატოს მენეჯმენტის პასუხისმგებლობა, შპს „ალიანსი“-ს (შემდ. კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის და მსს ფასს-ის) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, ბასს-ის და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების შესაბამისობას;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მხრიდან 2020 წლის 27 ნოემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ბუღალტერი



თეიმურაზ კანკავა

შპს „ალიანსი“

ს/ნ 204976464

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	480 524.00	812 157.00	1 614 961.00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	273 809.00	463 532.00	190 117.00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1 389 103.00	54 092.00	0.00
გადახდილი ავანსები	818 146.00	0.00	0.00
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება/მიწოდება	1 565 500.00	96 377.00	0.00
მარაგები:			
მასალა - ნედლეული	136 897.00	420 635.00	305 868.00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები:			
მიწის ნაკვეთები	129 305.00	129 305.00	129 305.00
შენობები	148 531.00	151 177.00	153 871.00
მანქანა - დანადგარები	61 440.00	78 357.00	100 533.00
ოფისის აღჭურვილობა	0.00	0.00	0.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი	150 397.00	187 996.00	234 995.00
სატრანსპორტო საშუალებები	185 035.00	231 293.00	289 117.00
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0.00	0.00	0.00
არამატერიალური აქტივები (ლიზინგი)	271 352.00	175 965.00	77 940.00
სულ აქტივები	5 610 039.00	2 800 866.00	3 096 707.00

შპს „ალიანსი“

ს/ნ 204976464

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ვალდებულებები	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	0.00	29098.00	-174302.00
მიღებული ავანსები	4 857 425.00	499 791.00	2 312 525.00
გადასახდელი ხელფასები	0.00	-245 145.00	0.00
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0.00	0.00	0.00
საპენსიო ანარიცხები	69 437.00	0.00	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	673586.00	233665.00	0.00
გრძელვადიანი სესხები	1 629 935.00	1 916 594.00	96 200.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	523.00	89 651.00	92 450.00
სულ ვალდებულებები	7 230 906.00	2 523 654.00	2326873.00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში	800.00	2 000.00	2 000.00
გაუნაწილებელი მოგება	0.00	275 232.00	767 834.00
დაუფარავი ზარალი	1 621 667.00	0.00	0.00
რეზერვი გაუნაწილებელ მოგებიდან	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0.00	0.00	0.00
სხვა რეზერვები	0.00	0.00	0.00
სულ საკუთარი კაპიტალი	800.00	277 232.00	769 834.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 610 039.00	2 800 886.00	3096707.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



შპს „ალანსი“

ს/ნ 204976464

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2018 წელი
ამონაგები:	6 058 965.00	4 390 767.00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან	6 058 965.00	4 390 767.00
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან		
საწარმოო საქმიანობიდან		
სხვა საქმიანობიდან		
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	-4311731.00	-2649794.00
საერთო მოგება	1 747 234.00	1740973.00
საწვავის ხარჯი	-253044.00	0.00
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯები	-1715667.00	-308580.00
ცვეთა და ამორტიზაცია	-103421.00	-129692.00
მომსახურების ხარჯები	-101687.00	-90176.00
იჯარის ხარჯები	-9150.00	-72594.00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	0.00	-7322.00
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯები	-30767.00	-352557.00
სხვა შეძენილი მომსახურება	-115852.00	-1424.00
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-31728.00	-92769.00
საკონსულტაციო ხარჯი (აუდიტი)	-3000.00	0.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-288085.00	-56227.00
საოპერაციო მოგება	-905167	629632.00
სხვა ფინანსური შემოსავალი	6.00	38.00
სხვა ფინანსური ხარჯი	-112315.00	-342129.00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-233785	-12309.00
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-1251261	275232.00
მოგების გადასახადი	0	0
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	-1251261	275232
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)		
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	0	275232

ხელმძღვანელი

ბუღალტერი:



შპს „ალანსი“

ს/ნ 204976464

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2018 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	12 772 584.00	3 821 799.00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-12871313.00	-6444997.00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-98729.00	-2623198
გადახდილი მოგების გადასახადი	0.00	0.00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-98 729.00	-2 623 198.00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0.00	0.00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	0.00	0.00
მიღებული პროცენტები	0.00	0.00
მიღებული დივიდენდები		
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	0.00	0.00
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	54 560.00	1 941 545.00
სესხის ძირის გადახდა	-287464.00	-121151.00
სესხის პროცენტის გადახდა		
დივიდენდების გადახდა		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-232904	1 820 394.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-331 633.00	-802 804.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	812 157.00	1 614 961.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	480 524.00	812 157.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



შპს „ალიანსი“

ს/ნ 204976464

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N4 - საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

დასახელება	საწყისი კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სხვა სარეზერვო კაპიტალი
	5150	5310 / 5320	5410	5490
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	2 000.00	275 232.00	0.00	0.00
შემოსავალი სულ		0.00		
მოგების განაწილება		0.00		
პარტნიორთა შენატანები (საპაიო და სხვა)	353 800.00			
დანარჩენი შემოსავალი				
მიღებულია რეორგანიზაციით				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
ზარალის დაფარვა		-275232.00		
დაუბრუნდა პარტნიორებს (მეპაიეებს)	-355000.00			
გადატანილია რეორგანიზაციით				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
დანარჩენი გასავალი		-1621667.00		
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	800.00	-1621667	0.00	0.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ალიანსი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2002 წლის 17 იანვარს. შპს „ალიანსი“ (შემდგომში „კომპანია“) მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, თაბუკაშველის ქუჩა # 42

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ თეიმურაზ კანკავა – 100,00%

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სამშენებლო -სარემონტო სამუშაოების წარმოება ტენდერის გზით მოპოვებული ობიექტებზე და ასევე კერძო პირების შეკვეთების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების „მცირე და საშუალო საწარმოები“ და 3-განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს-ის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება-ზარალი) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსი) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2019 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2019 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „ალიანსი“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით, რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი, ან საქართველოს კომერციული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ ორ უკანასკნელ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

მიწის ნაკვეთები	უვალო
შენობები	50-100 წლამდე
მანქანა - დანადგარები	10-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	10 წლამდე

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი (შემდგომში „სსს“), და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, სსს-სთვის საჭირო მარაგები წარმოდგენილია სამშენებლო მასალის ფართო ასორტიმენტით. სსს-ის დაკვეთით განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცესში, როგორც სახელშეკრულებო ისე ინდივიდუალური, წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში. სსს-ის მასალის მარაგები კომპანიას გააჩნია, რომლებიც აღირიცხულია და დაცულია სასაწყობო მეურნეობაში და სამშენებლო ობიექტებზე.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კომპანიას ევალება გადაიხადოს შემდეგი სახის გადასახადები:

- მოგების გადასახადი -0% (დივიდენდის გაცემის შემთხვევაში 15%);
- დამატებული ღირებულების გადასახადი 18% (ჩათვლის უფლებით);
- საშემოსავლო გადასახადი 20% (დაქირავებულ პირებზე განაცემის დროს)
- ქონების გადასახადი 1% (ბალანსზე რიცხული საშუალო წლიური ღირებულებიდან)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებული უნაღდო ფულისაგან.

3.8 სსს-ის მიწოდების და სხვა მოთხოვნები

მიწოდების და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3. მოწოდებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები

მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომ პერიოდში ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას აქვს სესხი აღებული სხვადასხვა საბანკო დაწესებულებიდან. სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, თანახმად წინასწარ შეთანხმებული სასესხო გრაფიკისა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 შსს ფასს-ის ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული არსებობს რიგი ახალი შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათ ძალაში შესვლისთანავე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სსს-ის დამკვეთების მიმართ მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების უმრავლესობამ, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული სსს-ის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი შედგება სსს-ის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

შპს „ალიანსი“-ს, როგორც ზემოდ ითქვა, ძირითადი საქმიანობის სფეროა სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების წარმოება ტენდერების გზით მოპოვებული ობიექტებზე და ასევე კერძო პირების შეკვეთების შესრულება.

კომპანიის მიერ მიწოდებული სსს-ის თვითღირებულება წარმოადგენს სამუშაოების დროს დახარჯული სამშენებლო - სარემონტო მასალის, ობიექტზე ძალოვანი მანქანა დანადგარების მუშაობის და ძირითადი მომუშავეთა პირდაპირი ხელფასების სუმარულ ღირებულებას.

იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს მის მიერ შესრულებული სსს-ის მიწოდების პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ შესრულებული სსს-ის მიმწოდებლის აქტიურ ფუნქციას.

შემოსავლები	2019 წელი	2018 წელი
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	6058965,00	4 390 767,00
სხვა ფინანსური შემოსავალი	6,00	38,00
წმინდა არასაოპერაციო დადებითი ეფექტი (საკურსო)	0,00	0,00
თვითღირებულების ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
	4311731,00	2 649 794,00

3-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
ხელფასები	1715667,00	308 580,00
იჯარის ხარჯი	9150,00	72594,00
ცვეთა და ამორტიზაცია	103421,00	129692,00
მომსახურების ხარჯი	101687,00	90176,00
საწვავის ხარჯი	253044,00	0,00
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	30767,00	352557,00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	0,00	7322,00
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	31728,00	92769,00
საკონსულტაციო ხარჯები	3000,00	0,00
სხვა შემენილი მომსახურება	115852,00	1424,00
სხვა საოპერაციო ხარჯი	288085,00	56227,00
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	2652401,00	1 111 341,00

2019 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე მყოფ დასაქმებულებზე ჰქონდა დანახარჯი ხელფასის სახით 1715667,00 ლარი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების გარკვეული ნაწილი ტრანსპორტირების და გადაცემის თანხები შეადგენენ 30767,00 ლარის ოდენობით.

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანიის 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენენ არსებითად საგრძნობ სიდიდეს და ძირითადად სსს-ს ხელშემწყობ მარაგების და მომსახურების დანახარჯებს წარმოადგენენ. ხოლო იგივე საანგარიშო 2019 წელს კომპანიას არ ჰქონია სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯები.

8. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
ფინანსური ხარჯი ბანკისგან აღებულ სასესხო თანხებზე (ა)	112315,00	342129,00
სულ ფინანსური ხარჯი	112315,00	342129,00

ა. ფინანსური ინსტიტუტიდან (ბანკიდან) მიღებული, სესხად კლასიფიცირებულ თანხები - 1 629 935,00 ლარი

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2019	31.12. 2018	01.01.2018
ფული ბანკში	182778,00	49 035,00	93 099,00
ფული სალაროში	297746,00	763 122,00	1 521 862,00
	480524,00	812 157,00	1 614 961,00

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

10. მიწოდების და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12. 2018	01.01.2018
მოთხოვნები დამკვეთის მიმართ (ტენდერი)	0,00	302045,00	90293,00
მოთხოვნები დამკვეთის მიმართ (ტენდერის გარეშე)	273809,00	161487,00	99824,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1389103,00	54092,00	0,00
სულ მიწოდების მოთხოვნები	1662912,00	517624,00	190117,00

შპს „ალიანსი“-ს სსს-ის მიწოდების და სხვა მოთხოვნებში სამშენებლო -სარემონტო სამუშაოების რეალიზებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სსს-ის მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2020 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით შპს „ალიანსს“ გარკვეული ნაწილის ოდენობით ჰქონდა მიღებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების თანხები, დანარჩენ მოთხოვნებზე კომპანია არ ქმნის უიმედო დანაკარგების რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული დებიტორები 2020 წლის ბოლომდე თავის დავალიანებებს დაფარავენ.

3-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

11. კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 800,00 ლარს.

2019 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში განხორციელდა ცვლილებები. ერთპიროვნულმა დამფუძნებელმა, თეიმურაზ კანკავამ, თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გააკეთა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შემონატანი თანხით 353800,00 ლარის ოდენობით, მისი გაზრდის გზით, გარკვეული სტენდერო და სასესხო მიზნების მისაღწევად.

ამავე საანგარიშო წელს განხორციელდა საწესდებო კაპიტალის მოცულობის შემცირება მანამდე გაკეთებული შემონატანის შემცირების გზით თანხით 355000,00 ლარი, რადგან შესრულდა დასახული მიზნების მიღწევა.

11.2 დივიდენდები

კომპანიის ერთპიროვნული, 100%-იანი წილის მფლობელი, დამფუძნებელი წევრებს გასაკემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის წესს.

2019 წლის განმავლობაში არ გამოცხადებულა დივიდენდების დარიცხვა და განაწილება საანგარიშო წლის ზარალის შედეგის გამო.

2019 წლის 0,00 ლარი

11.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია, შპს „ალიანსი“, ამ ეტაპზე არ არის რენტაბელური და ლიკვიდური.

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

12. მიღებული სესხები

შპს „ალიანსი“-ს 2019 საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონდა აღებული სესხი.

	31.12.2019	31.12. 2018	01.01.2018
სესხი	0,00	1941545,00	96200,00

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12. 2018	01.01.2018
ვალდებ. მოწოდებიდან და მომსახურებიდან	0,00	29 098,00	174 302,00
ვალდებ. მიღებული ავანსებიდან	4857425,00	499 791,00	2 312 525,00
სხვა ვალდებულებები	2373481,00	0,00	0,00
სავაჭრო მოთხოვნები	7230906,00	528889,00	2 486 827,00

შპს „ალიანსი“-ს მომწოდებლები 2019 წლის განმავლობაში, არიან საქართველოს კომპანიები. შესაბამისად, 2019 საანგარიშგებო წლის ბოლოს, მათ მიმართ წარმოქმნილი მოწოდების ვალდებულებების თანხები არსებულ დავალიანებებს ადასტურებს.

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკულად არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 ტრანზაქციები გაცემულ ხელფასებზე

გაცემულ ხელფასებს 2018 და 2019 წელს ჰქონდა შემდეგი თანხობრივი გამოსახულება:

	2019	2018
გაცემულ ხელფასები	1715667,00	308 580,00
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი	1715667,00	308 580,00

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები, 2020 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით კლიენტ კომპანიებს დაფარული აქვთ უმრავლესობას. ყველა არსებითი დებიტორულ დავალიანებაზე წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი დადასტურებული ორივე მხარის მიერ. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნა სსს-ის საქმიანობის უწყვეტი პროცესის ჩვეულებრივი თანმდევი სიტუაციაა.

2019 წლის 27 სექტემბრიდან კომპანია შპს „ალიანსი“-ს ამოწმებს საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი და შემოწმება მოიცავს ბოლო სამ საანგარიშგებო წელს. თქმულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი ვერ საზღვრავს იმ მოსალოდნელი რისკების მოცულობას, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას შემოწმების მიერ საბოლოო აქტის შედგენა - დამტკიცებამდე.

მენეჯმენტის ვარაუდით, შესაძლებელია შემოწმების შედეგად წარმოქმნილმა რისკებმა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ წარდგენილ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და დასჭირდეს ადეკვატური კორექტირებების განხორციელება.

2019 წლის ფინანსურ ანგარიშგების სრულად და დროულად წარდგენაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მთელ მსოფლიოში მძვინვარე, მათ შორის საქართველოშიც, კორონა ვირუსის პანდემიის 1-ლი და მე-2-ე ტალღები, რის გამოც მთელი სახელმწიფო მასშტაბით გამოცხადებულია კრიზისული მდგომარეობა,- მთელი მისი თანმდევი შეზღუდვითი პირობებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, ჩვენი აზრით, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ხელმძღვანელი

ბუღალტერი

